სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/264

ქ. თბილისი

23 სექტემბერი 2019

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ზ. წვერაიძის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2019 წლის 23 სექტემბრის საბჭოს სხდომის №8 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-02/19 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს მოდიფიცირებული სახით ინგლისურენოვანი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“, ხელმძღვანელი – ქართლოს ყაჭიაშვილი;
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

დადგენილებას თან ერთვის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**